



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო

Legal Entity of Public Law
State Regulation Agency for Medical Activities



KA030263696725619

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 725 384

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 725 384

№ 02/20700

16 / აპრილი / 2019 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს
ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსს,
ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

თქვენი წერილის (N01/6101 08.04.19.) პასუხად, რომელიც ეხება „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშს, წარმოგიდგენთ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პოზიციას.

ანგარიშის 93-ე გვერდზე მითითებულ შენიშვნასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით: „პროაქტიულად უნდა შეფასდეს, თუ რამდენად მიეწოდებათ პაციენტებს ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე დაფუძნებული ფსიქიატრიული დახმარება პაციენტების უფლებების პატივისცემის პირობებში. ამ კუთხით, 2018 წელს განხორციელებული საქმიანობა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან, როგორც სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოდან გვეცნობა, სააგენტომ 2018 წელს მხოლოდ 4 რევიზიის აქტი შეადგინა 8 პაციენტის შემთხვევაში და ყველა ეს შემთხვევა ეხებოდა 2017წელს გაწეულ სამედიცინო მომსახურებას. ცხადია, ამგვარი მუშაობა ვერ ჩაითვლება ვერც რეგულარულად და ვერც სისტემურად“, უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო პროგრამების, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის, მარეგულირებელი დადგენილებებით მკაცრადაა განსაზღვრული/რეგლამენტირებული რევიზიის ჩატარების პროცესი და საფუძვლები და არ არის გათვალისწინებული რევიზიის ჩატარება „რეგულარულად“, „სისტემურად“, „პროაქტიულად“. კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილებების (მათ შორის, N638, N592) მე-18 მუხლის მიხედვით, „რევიზია ხორციელდება გეგმური და არაგეგმური ფორმით. არაგეგმური რევიზია ხორციელდება სამინისტროს, პროგრამის განმახორციელებლის ან ობიექტური გარემოების არსებობისას, სხვა დაინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისად“. ანგარიშში მითითებული 8 პაციენტის საკითხის შესწავლა (არაგეგმური რევიზია), განხორციელდა პროგრამის განმახორციელებლის მომართვის საფუძველზე. განმახორციელებლისგან და/ან სამინისტროს და/ან სხვა დაინტერესებული პირის მოთხოვნა ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის სხვა შემთხვევების არაგეგმური რევიზიის თაობაზე, რეგულირების სააგენტოში არ შემოსულა და შესაბამისად, არაგეგმური რევიზია არ განხორციელებულა.

რაც შეეხება გეგმურ რევიზიას, ამავე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, ტარდება „შერჩევითად, წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. რევიზიის შერჩევითი პრინციპით განხორციელების წესი და პირობები განსაზღვრულია რეგულირების სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სამინისტროსთან შეთანხმებით“. აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შედგენილ გეგმა-გრაფიკში, სახელმწიფო პროგრამების მიმწოდებელი, დაახლოებით, 500 სამედიცინო დაწესებულებიდან, 2018 წელს, არ მოხვდა ფსიქიატრიული დაწესებულებები. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ 2015-2017წლებში, ამავე კრიტერიუმების მიხედვით, შეირჩა და რევიზია განხორციელდა რამდენიმე ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

არაზუსტი ინფორმაცია ანგარიშის 255-ე გვერდზე („სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო და პროფესიული განვითარების საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს მოწვეული ექსპერტების დახმარებით, რომელთა შერჩევის, დანიშვნის და საქმიანობის წესი მინისტრის ბრძანებით რეგულირდება“). პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში, რეგულირების სააგენტო და შემდეგ, პროფესიული განვითარების საბჭო, საკითხის განხილვისას, ეყრდნობა იმ სპეციალისტების დასკვნას, რომელთა შერჩევა ხორციელდება

სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით, ელექტრონული ტენდერით, რის შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება სარეცენზიო მომსახურების შესყიდვაზე. ორ სუბიექტს შორის (რეგულირების სააგენტო და ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია) გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს როგორც, დასკვნის შედგენა/წარდგენის ვადებს, ასევე, მომსახურების მიმწოდებლის მოვალეობებს, პასუხისმგებლობებს, მათ შორის, ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის/არაჯეროვანი შესრულებისთვის შესაბამის სანქციებს. რაც შეეხება „საექსპერტო დასკვნის მომზადებაში პაციენტის მონაწილეობას“, აღვნიშნავთ, რომ განეული სამედიცინო დახმარების ხარისხის შესწავლა ხორციელდება დარგის სპეციალისტების მიერ სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული ჩანაწერების/მონაცემების მიხედვით. რის შესახებ პაციენტი/საჩივრის ავტორი, ყველა შემთხვევაში ინფორმირებულია.

რაც შეეხება მოქალაქეთა უფლებას, სათანადო მონაწილეობა მიიღონ განცხადების განხილვა/შესწავლის პროცესში (ანგარიშის 254-ე გვერდი), აღვნიშნავთ, რომ ყველა ეტაპზე, როგორც საკითხების შესწავლისას, ასევე, პროფესიული განვითარების საბჭოზე განხილვისას, მაქსიმალურად უზრუნველყოფილია მხარეთა ჩართულობა და გათვალისწინებულია მოქალაქის პრეტენზიები და განცხადებაში მოყვანილი ფაქტები. რაც შეეხება პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ საკითხის განხილვას, განვმარტავთ, ყველა შემთხვევაში, მხარეთა ჩართულობა და განხილვის თაობაზე მათი ინფორმირება (ადგილის და დროის მითითებით), ხორციელდება წერილობითი და/ან სატელეფონო შეტყობინებით. 2018 წლის განმავლობაში ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხები განხილულ იქნა საბჭოს 7 სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა 25 დაინტერესებული პირი (პაციენტი/კანონიერი წარმომადგენელი/ექიმი).

ანგარიშის 255-ე გვერდზე მითითებულ შენიშვნასთან დაკავშირებით, რომ „პრობლემად რჩება სააგენტოს ვებგვერდზე იმ ინფორმაციის განთავსება, რომელიც მნიშვნელოვანია პაციენტების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, არ არსებობს საკომუნიკაციო-საკონსულტაციო მექანიზმი, რომელიც პაციენტს პროფესიული განვითარების საბჭოს საქმიანობის, ფუნქციების, მიმართვის ფორმების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში დაეხმარებოდა“, აღვნიშნავთ: ვინაიდან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და სამდივნოს ფუნქციას ასრულებს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, მოქალაქეების მიერ საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით ნებისმიერი საკითხის თაობაზე კომუნიკაცია-კონსულტირება ხდება სააგენტოს მეშვეობით (სატელეფონო, ელექტრონული რესურსის გამოყენებით და განცხადებით ან პირადი მომართვიანობის გზით). საბჭოს საქმიანობის, ფუნქციების, მიმართულებების განმსაზღვრელი მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, ზოგადი ინფორმაცია სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულია ფანჯარაში „კანონმდებლობა“, თუმცა, კონკრეტულად საბჭოს მიმართულებით ინფორმაციის განთავსება, შესაძლებელია და გათვალისწინებული იქნება. ამასთან, პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ მიღებული ზოგადი ხასიათის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ინფორმაციები პერიოდულად თავსდება სააგენტოს ვებგვერდზე. ხოლო, ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება კონკრეტულ პაციენტს და/ან საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიულ პასუხისმგებლობას, შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, შესაბამისად. მათი მსგავსი სახით დამუშავება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალულია.

ანგარიშის 265-ე გვერდზე მითითებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოს საქმიანობის, ფუნქციების, მიმართულებების განმსაზღვრელი მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები და ზოგადი ინფორმაცია, სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულია ფანჯარაში „კანონმდებლობა“, თუმცა, კონკრეტულად საბჭოს მიმართულებით ინფორმაციის განთავსება, შესაძლებელია და გათვალისწინებული იქნება. რაც შეეხება განცხადება/საჩივრების შესწავლის, პროფესიული განვითარების საბჭოსთვის განსახილველად მიწოდების და სხვა პროცედურული საკითხების მომწესრიგებელი ნორმების შემუშავებას, აღვნიშნული ნორმები შემუშავებულია და დანერგულია, რომელიც მიწოდებული იქნა სახალხო დამცველის აპარატისთვის (N0249743 17.09.18.) და მოხდება მისი ფორმალიზება.

პატივისცემით,

სააგენტოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერა/შტამპი
ელმხრეთადასტურება



თეიმურაზ პირველაშვილი